მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2025-2028 წლები

შესავალი 3

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ 4

- ზოგადი ინფორმაცია 4
- მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 8

- მმართველობის ორგანოები 9
- მოსახლეობა ადმინისტრაციული ერთეულები 10
- ბიუჯეტი 11

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 11

- გადასახდელები 12
- ბიუჯეტის ბალანსი 13
- 2023-2024 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა 13
- 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა 15

თავიIII. მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში 16

- მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით;
- გარემოს დაცვა და შენარჩუნება
- განათლების განვითარების ხელშეწყობა
- კულტურის, სპორტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის უზრუნველყოფა;
- ეფექტური მმართველობა.

შესავალი

პრიორიტეტების დოკუმენტი შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3,4,5 პუნქტისა და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოყვანილი მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიასთან, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის 264-ე განკარგულების შესაბამისად.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

მესტიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულს აღმოსავლეთით ლენტეხის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, ჩრდილოეთით - დიდი კავკასიონის ქედი და რუსეთის ფედერაცია (ყაბარდო-ბალყარეთი), სამხრეთით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები, დასავლეთით კი აფხაზეთი.

მესტია საქართველოში ყველაზე მაღალმთიანი, მცირემიწიანი და ტერიტორიულად ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია. რეგიონი შედგება 17 ადმინისტრაციული ერთეულისგან, რომელთაგან სამი - იდლიანი, ჭუბერი და ხაიში მდებარეობს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან. მისი ფართობი 307.49 ათ ჰა-ს შეადგენს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 94.3 ათ ჰა უკავია, რაც მთელი ტერიტორიის 30.9%-ია, ხოლო 129.17 ათასი ჰა (42%) კი ტყეს უკავია.

მესტიიდან თბილისამდე მანძილი 477 კმ-ია, ქალაქ ზუგდიდამდე კი, სადაც უახლოესი სარკინიგზო სადგური მდებარეობს - 138 კმ. უახლოესი საპორტო ქალაქი ფოთი მესტიიდან 226 კმ-შია. მესტიის ცენტრიდან სამთო სათხილამურო კურორტ თეთნულდამდე მანძილი 30, ხოლო ჰაწვალის კურორტამდე 8 კმ-ია. მესტიის აეროპორტიდ. მესტიის ცენტრიდან 2 კმ-ში მდებარეობს.

მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 1 დაბის და 160 სასოფლო დასახლება, რომლებიც გაერთიანებული არიან 1 სადაბო და 16 ადმინისტრაციულ ერთეულში. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.



მესტიის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 11 575 ადამიანს (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 9,316 ადამიანს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0,25%-ია.)1, მათ შორის 5785 ქალი, 5790 კაცი. მათგან დაბაში ცხოვერობს 2613 (22%), ხოლო 8962 (78%) ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. დაბაში მცხოვრები ქალების რაოდენობა შეადგენს 1408, კაცების - 1205; სოფლად მცხოვრები ქალების რაოდენობა 4377-ია, ხოლო კაცების 4585.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2012-2021 წლებში ფიქსირდება მიგრაციის დადებითი დინამიკა. კერძოდ, 2012-2021 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა 109 ოჯახი. რაც შეეხება იმავე პერიოდში ემიგრაციის მაჩვენებელს, მესტიის მუნიციპალიტეტიდან გადავიდა 19 ოჯახი. შესაბამისად, მიგრაციის სალდო უდრის 90-ს.
მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს სახელმწიფოს სოციალურ შემწეობას. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით : ა) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტირებულია 1922 ოჯახი - 7110 პირი; ბ) პენსიის მიმღები გახლავთ 2028 პირი; გ) შშმ პირთა რაოდენობა არის 349, მათ შორის ეტლით მოსარგებლეთა რაოდენობა - 20; დ) მარჩენალდაკარგულია 96 პირი.

გეოლოგიურად ზემო სვანეთის ქვაბულის ძირი, რომელსაც ენგურის ხეობის ფსკერი შეესაბამება, მეოთხეული ნაფენებითაა წარმოდგენილი. მდინარე ენგურის ქვემო წელში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ზედა და შუა იურული პორფირიტები, ქვიშაქვები და ფიქლები. მესტიის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო მთის კლიმატია. ჰავის ტიპები მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჰიფსომეტრიულად იცვლება ზომიერად ნოტიო ხეობის ტიპის კლიმატიდან მაღალმთის მკაცრი კლიმატის ჩათვლით. არათანაბრად განაწილებულია რაიონის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექები. საშუალო წლიური რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს ზემო სვანეთის თხემურ ნაწილებში (2000-

1 წყარო: მესტიისმუნიციპალიტეტისადამულახისთემის სივრცით-ტერიტორიულიდაგეგმვისდოკუმენტაცია, 2017

2500 მმ.წელიწადში), ხოლო მინიმალური რაოდენობა გვხვდება დაბა მესტიის ქვემოთ მდ.ენგურის მიმართულებით და შეადგენს 800-1000 მმ-ს წელიწადში.

მესტიის მუნიციპალიტეტში გვხვდება ბუნებრივი საფრთხეები, რასაც განაპირობებს მისი გეოლოგიური აგებულება, რთული ტექტონიკა, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და სპეციფიკური კლიმატურ-მეტეროლოგიური პირობები. რეგიონისთვის დამახასიათებელია ისეთი მოვლენები, როგორიცაა მეწყერი, ზვავი, ქვათაცვენა, ღვარცოფი, წყალმოვარდნა და მდინარეების ადიდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა უახლოეს პერიოდში დასრულდება. არსებობს აგრეთვე მულახის ადმინისტრაციული ერთეულის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც მულახის 11-დან 10 სოფელში მიღებულია და დამტკიცებულია საკრებულოს დადგენილებით.

მესტიის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 70–80 % ტყიან ლანდშაფტებს უჭირავს. ქედების და მათი განშტოებების თხემური და მიმდებარე ტერიტორიები სუბალპური და ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. ტყის ჯიშთა შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასიური გავრცელებით სარგებლობს მარადმწვანე ჯიშები: ნაძვი და სოჭი. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია ფიჭვნარებიც. მეზოფილურ ჯიშთა შორის აღსანიშნავია: რცხილა, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა, ნეკერჩხალი. ფრაგმენტალურად გვხვდება არყნარიც. წარმოდგენილია მარადმწვანე ტყეც. ჭყორისა და ბაძგის მონაწილეობით სუბალპურ ზონაში გვხვდება „დეკიანის“ კომპლექსი (ურუშაძე,2013). რეგიონის მცენარეულობა მეტად მრავალფეროვანია, მათ შორის სამკურნალო მცენარეებიც, რომლებიც უფრო ველურად მზარდი არიან და მოიპოვებიან მოსახლეობასთან ახლოს ან ტყეებში. ფლორის გარდა რეგიონს მრავალფეროვანი ფაუნა აქვს, მათ შორის ძუძუმწოვრები, თევზები, ამფიბიები, რეპტილიები და ფრინველები.

მუნიციპალიტეტში არსებობს და შესწავლილია წიაღის (ლითონები, არალითონები, წყალი) 336 საბადო, მათგან მოქმედია მხოლოდ 24 ლიცენზიანტი (იხ. დანართი #1). რეგიონში მოიპოვება არალითონების 11 ძირითადი საბადო: მესტიის საბადო (ტრავენტინის მარაგი: 78000 მ³), მესტიაჭალის (ქვიშა-ხრეშის მარაგი: 3148000მ³), ხაიშის (ბარიტის მარაგი: 75000 ტონას), ჯორკვალის (გარბო-დიაბიზის მარაგი: 926300მ³), მულახის (ქვიშა ხრეში), დიზის (მარმარილოს მარაგი: 523600მ³), ლენჯერის (კირქვის მარაგი: 996000 ტონა), უშგულის (მთის ბროლი) და ჭუბერის (მარმარილოს მარაგი: 5444000მ³). ამათ გარდა რეგიონში მოიპოვება ლითონების 13 ძირითადი საბადო.

რეგიონის მთავარი მდინარე ენგურია, მისი შენაკადები - ადიშისჭალა, მულხრა, დოლრა, ნენსკრა, იფარი, ხაიშურა და სხვ. (MDF, 2014). მუნიციპალიტეტში მდებარე მდინარეები: ენგური, მესტიაჭალა, ნენსკრა, და სხვა საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურსს წარმოადგენენ.

მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მყინვარია, რომელთა საერთო ფართობია 285 კვ.კმ (MDF, 2014). ზემო სვანეთი მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე. კავკასიონის აღნიშნულ ნაწილში თავმოყრილია ამ მთიანი მასივის მაღალი მწვერვალების უმრავლესობა, მათ შორის შხარა (5203 მ) თეთნულდი (4858 მ) უშბა (4700 მ) ტიხტინგენი (4617 მ) შხელდა (4368 მ) და სხვ. (UNDP Georgia, 2014).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს და შესწავლილია წიაღის 336 საბადო, ამათგან მოქმედია 24 ლიცენზიანტი,

რეგიონის მთავარი მდინარე ენგურია,მისი შენაკადები- ადიშისჭალა,მულხრა,დოლრა,ნენსკრა,იფარი,ხაიშურა და სხვ. მუნიციპალიტეტში მდებარე მდინარეები საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურსს წარმოადგენენ.

მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მყინვარია. ზემო სვანეთი მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე. აღნიშნულ ნაწილში თავმოყრილია ამ მთიანი მასივის მაღალი მწვერვალების უმრავლესობა,მათ შორის: შხარა(5203 მ),თეთნულდი(4858 მ),უშბა(4700 მ),შხელდა(5203 მ) და სხვ.

რეგიონში უხვად მოიპოვება მტკნარი წყლები და მინერალური წყლები, რომლებიც სამკურნალო თვისებებით ხასიათდებიან (იხ. დანართი 2). მინერალურ წყლებს აქვთ როგორც განსხვავებული ქიმიური შემადგენლობა, ასევე სხვადასხვა სამკურნალო თვისებებიც. მაგ. მინერალური წყლებიდან რამდენიმე კურნავს თვალის, კანის, კუჭის, ღვიძლის დაავადებებს და ა.შ. დაბა მესტიაში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კვედილაშის მჟავე წყალი მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში გამოიყენებოდა, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

მაღალმთიან მესტიის მუნიციპალიტეტში, მზის რადიაციული გამოსხივების მაღალი ინტენსიობის გამო, განახლებადი ენერგიის რესურსებს შორის დიდი პოტენციალი აქვს მზეს. მზის ენერგიის ათვისების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ბევრად უფრო სუფთა და გარემოსთვის უსაფთხოა, ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით, რადგან მისი გამოყენების შედეგად არ ხდება სათბურის ეფექტის მქონე აირების ატმოსფეროში ემისია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კლიმატის ცვლილების პროცესში გარემოზე დამაზიანებელ ზეგავლენას.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2022 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სტრუქტურებში დასაქმებულია 1135 პირი, კერძო სტრუქტურაში 1322 პირი, თვითდასაქმებულთა რაოდენობა 2197-ს შეადგენს, 2020 წლის მონაცემების მიხედვით შრომისუნარიანი მოსახლეობის 73% დასაქმებულია. უმუშევრობა კი 27%-ია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი 60%-ია.

2022 წლის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი (444 აღსაზრდელი),25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (1701 მოსწავლე). საბავშვი ბაღი ხელმისაწვდომია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს იფარის თემის სოფელ ჰადიშში, წვირმის თემის სოფელ იელიში და ხაიშის თემის სოფ. ვედში. როგორც ჰადიში, ასევე იელი და ვედი მოშორებულია ადმინისტრაციულ ცენტრს9 კმ-ით და მეტით.

მესტიის მუნიციპალიტეტი 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით თანამშრომლობს შემდეგ დაძმობილებულ ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან და რეგიონებთან: თურქეთის რესპუბლიკის ფინდიქლის მუნიციპალიტეტი, უკრაინის ქალაქები: უკრაინკა და სლავსკე, ასევე უკრაინის ობუხოვის რაიონი, ესპანეთის ბერგუედას რეგიონალური საბჭო და ლიეტუვის რესპუბლიკის ტელშაის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი წამყვანი დარგებია: ენერგეტიკა, ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა.

მესტიის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს პირველ რიგში ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ასევე ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობა. მესტიის კონკურენტული უპირატესობებიდან, აგრეთვე ნიშანდობლივია ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით ჰიდროლოგიური რესურსი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის ეფექტურად ათვისებული. რაც შეეხება ხე-ტყის გადამუშავებას, მოცემული დარგი მესტიის მუნიციპალიტეტში მეტად განვითარებულია, თუმცა არსებობს განვითარების დამატებითი სხვადასხვა შესაძლებლობები, როგორიცაა მაგალითად ხე-ტყის წარმოებიდან მიღებული ნარჩენების გადამუშავება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემო სვანეთში მოპოვებული ხის მასალა გადის ექსპორტზე თურქეთის რესპუბლიკაში. აგრეთვე, ექსპორტზე გადის მუნიციპალიტეტში გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილიც.

მესტიის მუნიციპალიტეტს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია აგრეთვე ტურიზმში. მისი შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტები და უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მიმზიდველია საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორებისთვის. ზემო სვანეთი შედის UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში უშგულის სოფ. ჩაჟაშით, რომელიც „მთის პეიზაჟის განსაკუთრებული მაგალითია შუა საუკუნეების ტიპის სოფლებით და კოშკებით“2. მესტიაში არსებობს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის უნიკალური მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია სვანეთის უმდიდრესი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წარმმართველი და ყველაზე მეტად განვითარებული ტურიზმის სექტორია, რომელიც ძირითადად სათავგადასავლო, სპორტული (სათხილამურო და მთამსვლელობის), კულტურულ-შემეცნებითი, გასტრონომიული და ეკო მიმართულებით ვითარდება. მესტია თავისი ბუნებით და სანახაობებით ძალიან მიმზიდველია ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისთვის. ტურისტული პერიოდი წლის ოთხივე სეზონს მოიცავს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელი მკვეთრად სეზონურია. სასტუმროების დატვირთვა ზაფხულის სეზონზე უფრო აქტიურია (ზაფხული 70% - ზამთარი 30%. წყარო - სვანეთისტურიზმისგანვითარებისსტრატეგია, 2023 წელი). მუნიციპალიტეტში აშენებულია ორი სამთო კურორტი მაღალი ხარისხის სათხილამურო ტრასებით. მზარდია ალპინიზმთან და სხვა ექსტრემალურ სპორტთან დაკავშირებული ღონისძიებები (მაგ. ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტური 2022-2023, ჰაილენდერი 2022-2023). მესტია საინტერესო დანიშნულების ადგილია როგორც დამწყები სპორტის მოყვარულებისთვის, აგრეთვე პროფესიონალი სპორტსმენებისთვისაც. ტურიზმი მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა.

---

[2] წყარო: UNESCO. https://whc.unesco.org/en/list/709/

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 33 წევრისგან. წარმომადგენლობით ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია:

1. საპროცედურო საკითხთა კომისია;
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
3. ურბანული განვითარებისკომისია;
4. ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის განვითარების კომისია.
5. სოციალურ საკითხთა კომისია.

მესტიის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერია აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებისა (ა(ა)იპ-ები) და მუნიციპალური შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოებების (შპს-ები) მეშვეობით.

მოსახლეობა ადმინისტრაციული ერთეულები

მუნიციპალიტეტში მდებარეობს 17 ტერიტორიული ერთეული რომელთა შემადგენლობაში შედის 160 სოფელი:

1. მესტიის ტერიტორიული ერთეული (დაბა)
2. ბეჩოს ტერიტორიული ერთეული.
   სოფლები: ბაგვდანარი, გალაში, დოლასვიფი, დოლი, ლანხვრი, მაზერი, ნაშთქოლი, ტვებიში, უშხვანარი, ქართვანი, ცხეკვანი, ჭკიდანარი, ჭოხულდი;
3. ეცერის ტერიტორიული ერთეული.
   სოფლები: ბარში, გვალდერი, ისკარი, კალაში, ლადრერი, ლანტელი, ლაშხრერი, უსგვირი, უღვალი, ფხუტრერი, ქურაში, ცალანარი, ჭელირი, ჰებუდი;
4. იდლიანის ტერიტორიული ერთეული.
   სოფლები: იდლიანი, ლებურცხილა, ნაშიხვი, ჭალე;
5. იფარის ტერიტორიული ერთეული.
   სოფლები: ადიში, ბოგრეში, ზეგანი, ნაკიფარი;
6. კალას ადმინისტრაციული ერთეული.
   სოფლები: დავბერი, ვიჩნაში, იფრარი, ლალხორალი, ხალდე, ხე;
7. ლატალის ტერიტორიული ერთეული.
   სოფლები: იენაში, იფხი, კვანჭიანარი, ლახუშდი, ლაჰილი, ლელბაგი, ლეშუკვი, მაცხვარიში, ნანყვამ-ზაგრალი, სიდიანარი, შყალერი;

8. ლახამულას ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: გენწვიში, დიზი, თოთელეში, ლახამულა, ნოდაში, ნოღარი-კეცლანი, ქვედაიფარი, შდიხირი, ხელრა, ჰამაში;
9. ლენჯერის ტერიტორიული ერთეული:
სოფლები: კაერი, ლაშთხვერი, ლემსია, ნესგუნი, სოლი, ქაშვეთი, ჰეშკილი;
10. მულახის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: არცხელი, ზარდლაში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშკელი, ჟაბეში, ჟამუში, ღვებრა, ჩვაბიანი, ცალდაში, ჭოლაში;
11. ნაკრის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები:ანილი, თავრალი, კვიცანი, კიჩხულდაში, ლაშხრაში, ლაწომბა, ლენკვაში, ნაკრა, ცალერი, ხერხვაში;
12. უშგულის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: ლამჯურიში, მურყმელი, ჟიბიანი, ჩაჟაში, ჩვიბიანი;
13. ფარის ადმინისტრაციული ერთეული.
სოფლები: ზაგარი, ზედალუჰა, კაცხი, ლამხერი, ლაყვრი, სვიფი, ფალედი, ფარი, ქვედალუჰა, ღეშდერი, ყვანა, ხოსრარი;
14. ცხუმარის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: ლაბსყალდი, ლეზგარა, მაგარდელი, სვიფი, ტვიბერი, ღვებალდი;
15. წვირმის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: ასკარტი, აცი, იელი, ჩობანი, წვირმი;
16. ჭუბერის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: დევრა, ზედამარღი, ლარილარი, ლახამი, ლეკულმახე, ლეწფერი, სგურიში, ტიტა, ქვემომარღი, ყარი;
17. ხაიშის ტერიტორიული ერთეული.
სოფლები: ბარჯაში, გაღმახაიში, ზედავედი, ზედაწვირმინდი, ზედახაიში, ზემოვედი, თოთანი, ლალხორალი, ლახანი, ლუხი, მუხაშერა, ნაკი, ნალქორვალი, ნანყბული, სკორძეთი, ტობარი, ქედანი, ქვედავედი, ქვედაწვირმინდი, შგედი, ციცხვარი, ჭერი, ხაიში, ჯორკვალი.

ბიუჯეტი

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 21 563.4 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსულობები 21 563.4ათასი ლარია. აქედან შემოსავლები 21 563.4 ათასი ლარი. მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადი - 10 398.4 ათასი ლარი, ქონების გადასახადი - 9 100 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1 800 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 265 ათასი ლარი.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებში:

მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2025–2028 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2023 ფაქტიათ. ლარი	2024 წ. გეგმა ათ. ლარი	2025 პროექტი ათ. ლარი	2026 პროგნოზია თ. ლარი	2027 პროგნოზია თ. ლარი	2028 პროგნოზია თ. ლარი
შემოსულობები სულ	34969.7	21563.4	23307.4	25815.0	27426.1	29148.3
შემოსავლები	34744.5	21563.4	23307.4	25815.0	27426.1	29148.3
გადასახადები	17684.8	19498.4	20970.1	24227.7	25848.8	27481.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	8286.6	10398.4	14970.1	15727.7	17048.8	18481.0
ქონებისგადასახადი	9398.2	9100.0	6000.0	8500.0	8800.0	9000.0
გრანტები	15007.9	265.0	237.3	237.3	237.3	237.3
სხვაშემოსავლები	2051.8	1800.0	2100.0	1350.0	1340.0	1430.0
არაფინანსური აქტივების კლება	225.2	0	0			
ვალდებულების ზრდა	0	0	0			

გადასახდელები

მესტიის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2023 – 2028 წლებში:

ათასი ლარი

დასახელება	პრიორიტეტის კოდი	2023წ ფაქტი	2024 წ. ბიუჯეტი	2025 პროექტი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი	2028 როგნოზი
გადასახდელები სულ		35745.53	21563.40	23307.40	25815.0	27426.1	29148.30
ინფრასტრუქტურის განვითარება	0200	19406.8	3607.0	4057.0	5297.80	5672.00	6354.00
დასუფთავება დაგარემოსდაცვა	0300	1486.1	1808.8	1 937.0	2140.00	2354.00	2500.00
განათლება	0400	3 633.2	2216.4	2 442.0	2600.00	2740.00	2890.00
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	0500	3 124.0	3313.0	3 560.6	3782.90	4122.00	4400.00
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0600	1359.4	2411.2	2495.3	2717.30	2877.30	2997.30
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	0100	6735.99	8206.9	8763.2	9277.00	9660.80	9927.00

ბიუჯეტის ბალანსი

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2025–2028 წლებში:

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსავლები	34744.46	21563.40	23307.40	25815.0	27426.1	29148.3
გადასახადები	17684.77	19498.40	20970.10	24227.70	25848.80	27481.00
გრანტები	15007.90	265.00	237.30	237.30	237.30	237.30
სხვა შემოსავლები	2051.79	1800.00	2100.00	1350.00	1340.00	1430.00
ხარჯები	17731.74	17970.94	19915.58	21864.70	23266.10	24314.30
საოპერაციო სალდო	17012.72	3592.46	3391.82	3950.30	4160.00	4834.00
არაფინანსური აქტივების ცვლილება	18050.76	3287.03	3211.02	3910.00	4160.00	4834.00
ზრდა (ა)	18276.00	3287.03	3020.00	3910.00	4160.00	4834.00
კლება	225.24			0	0	
მთლიანი სალდო	-1038.04	305.4	180.80	40.30	0.00	0.00
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1320.14		0.00	0	0	0
ზრდა (ფ)			0.00	0	0	0
კლება (ფ)	-1320.14		0.00	0	0	
ვალდებულებების ცვლილება	-282.1	-305.4	180.80	40.3	0.0	0.0
კლება (ვ)	282.1	305.4	180.80	40.3	0.0	0.00
ბალანსი	00	00	00	0.00	0.00	0.00

2023-2024 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

- ნაშთები. 2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3 540.9 ათასი ლარი. ხოლო 2023 წლიდან გარდამავალი ნაშთი შეადგენს 2 221.6 ათას ლარს.
- შემოსულობებიგეგმა -34 449.9 ათასი ლარი, ფაქტი 34 969.8 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 101 %.. მათ შორის:

- შემოსავლები.მესტიის მუნიციპალიტეტის 2023წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა განისაზღვრა 34 449.9 ათასი ლართ, შემოსავლებმა შეადგინა 34 744.6 ათასი ლარი , რაც გეგმის 101% -ია.მათ შორის:

I.გადასახადებიდან მიღებულა შემოსავალმა შეადგინა 17 684.8 ათასი ლარი,რაც დაგეგმილი 17 592.1 ათასი ლარის101%-ია. მათ შორის:საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადიდან მიღებულია9398.2 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი თანხის 9 391.8 ათასი ლარის 101 %-ია

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 8 286.6 ათასი ლარი. რაც გეგმის 8 200.3 ათასი ლარის 104%-ია

II. გრანტები. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 15 007.9 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი თანხის 15 007.9 ათასი ლარის100%-ს შეადგენს.

III. სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებიდაგეგმილია 1 850,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამშეადგინა 2 051,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 110%-ით.

- არაფინანსური აქტივების კლება. გეგმა 0ლარი, ფაქტი 225.2 ათასი ლარი.
- ვალდებულების ზრდა გეგმა 0 ლარი ფაქტი 0 ლარი.

- გადასახდელები. საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 38 220.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 36 290.02 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95 %-ია. მათ შორის:
- ხარჯები. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19 117.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 17 731.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97 %-ი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18 821,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 18 276 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93 %-ია.. .
- ვალდებულებების კლება. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 282.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 282.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია .

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები მიიმართა შემდეგ პრიორიტეტების დასაფინანსებლად:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-გეგმა 21 118.6 ათასი ლარი,ფაქტი 19 706.7 ათასი ლარი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - გეგმა1 1 634 ათასი ლარი,ფაქტი 1 486.1 ათასი ლარი.
- განათლება - გეგმა 3 664.9 ათასი ლარი,ფაქტი 3 533.2 ათასი ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი,გეგმა3 303.1ათასი ლარი, ფაქტი 3 124 ათასი ლარი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გეგმა 1 485.2 ათასი ლარი,ფაქტი 1 472.03 ათასი ლარი
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები -გეგმა 7 014.9 ათასი ლარი, ფაქტი 6 867.8 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი

2023 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 300,0 ათასი ლარი სრულად იქნა ათვისებული სტიქიით დაზიანებული შიდა მუნიციპალური გზების აღსადგენად და მოვლა შენახვისთვის.

2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის გეგმის შესრულების ანალიზი

შემოსულობები. 2024 წლის 6 თვის მონაცემებით გეგმა 18 28.8 ათასი ლარი,ფაქტი 14 593.1 ათასი ლარი, მათ შორის:

გადასახადები გეგმა 9 734ათასი ლარი,ფაქტი 2 651.2 ათასი ლარი.

გრანტებიგეგმა 7 901.5 ათასი ლარი, ფაქტი 11 207.1 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლებიგეგმა645 ათასი ლარი, ფაქტი 734.7 ათასი ლარი.

2023 წლიდან გადმოსული ნაშთის I I-კვარტლის გეგმა ნაზარდი ჯამით- 1 570.8 ათასი ლარი.

გადასახდელებიგეგმა 19 851.6 ათასი ლარი. ფაქტი 15 009.3 ათასი ლარი

6 თვის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის2024 წლის ბიუჯეტიდან თანხები პრიორიტეტების

და პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება(ორგ.კოდი 01 00) გეგმა - 4 032.9 ათასილარი, ათვისება--3 415 ათასილარი, მათშორის:
   - მუნიციპალიტეტის საკრებულო(ორგ.კოდი 01 01 01) გეგმა - 763.5 ათასილარი, ათვისება -654.5 ათასილარი,
   - მესტიის მუნიციპალიტეტის მერია (ორგ.კოდი 01 02) გეგმა - 2 690 ათასილარი,ათვისება - 2 388.7 ათასილარი,
   - კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციულიკოდი 01 01 03) გეგმა - 8 ათასილარი,ათვისება -4.4 ათასილარი,
   - საერთო დანიშნულების ხარჯები(ორგანიზაციულიკოდი 01 02) გეგმა 571.3 ათასილარი,ათვისება - 367.2 ათასილარი,
   - სარეზერვო ფონდი(ორგ.კოდი 01 02 01) გეგმა 380 ათასილარი. ათვისება 260 ათასილარი(სტიქიურიმოვლენებისშედეგადდაზიანებულისაგზაოინფრასტრუქტურისაღდგენადა ადგილობრივიმნიშვნელობისგზებისმოვლა-შენახვა)
   - მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა (ორგ.კოდი 01 02 03) გეგმა-177.8 ათასილარი. ათვისება - 173.9 ათასილარი,
   - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები (ორგანიზაციულიკოდი01 02 04) გეგმა 34.058 ლარი, ფაქტი34.057 ლარი,
   - აიპ ახალგაზრდული თვითმმართველობა (ორგ.კოდი 01 02 05) გეგმა - 239.5 ათასილარი,ათვისება - 159.2 ათასილარი,
   - ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა (ორგანიზაციულიკოდი 01 02 06) გეგმა - 0 ათასილარი,ათვისება -0 ათასილარი.
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია დაექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 00)გეგმა - 9 070.2 ათასილარი, ათვისება - 5 345.9 ათასილარი. მათშორის:
   - მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 01 01)გეგმა -- 5 373.5ათასილარი, ათვისება - 3 218.7 ათასილარი,
   - გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 02 01) გეგმა --313 ათასილარი, ათვისება - 271.1 ათასილარი,
   - წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 02 02)გეგმა - 434.5 ათასილარი, ათვისება 388 ათასილარი.
   - მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა(ორგ.კოდი 02 03) გეგმა -- 1 190.4 ათასილარი, ათვისება -- 662.4 ათასილარი,

- სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 04), გეგმა - 475 ათასილარი, ფაქტი - 468.5 ათასილარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(ორგ.კოდი 02 05) გეგმა - 955 ათასილარი, ათვისება 337.1 ათასილარი,
- საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება (ორგანიზაციულიკოდი 02 09) -გეგმა 328.6 ათასი ლარი ფაქტი - 0 ათასილარი,

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა(ორგ.კოდი 03 00) გეგმა -925.3 ათასილარი, ათვისება --805.2 ათასილარი,
   - ა.აიპ"დასუფთავებადაკეთილმოწყობისსამსახური"(ორგ.კოდი 03 01) გეგმა -925.3 ათასილარი, ათვისება --805.2 ათასილარი.
4. განათლება(ორგ.კოდი 04 00) გეგმა-- 2 427.6 ათასილარი, ათვისება- 2 345.2 ათასილარი., მათშორის:
   - სკოლამდელი განათლების დაფინანსება(ორგ.კოდი 04 01) გეგმა -- 1 123.7 ათასილარი, ათვისება --1 085.7 ათასილარი
   - სკოლების თანადაფინანსება (ორგ.კოდი 04 04) გეგმა -1 303.9 ათასილარი, ათვისება -1 259.4 ათასილარი,
5. კულტურა, რელიგიაახალგაზრდულიდასპორტულიღონისძიებები(ორგ.კოდი 05 00) გეგმა 1 993.3 ათასილარი, ათვისებულია 1 837.1 ათასილარი. მათშორის:
   - ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი (ორგ.კოდი 05 01 01)გეგმა 728.6 ათასილარი,ათვისება-684.2 ათასილარი,
   - აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა(ორგ.კოდი 05 01 02) გეგმა --23.9 ათასილარი, ათვისება --14.5 ათასილარი,
   - ბიბლიოთეკებისდაფინანსება (ორგ.კოდი 05 02 01) გეგმა --83.9 ათასილარი, ათვისება --63.3 ათასილარი,
   - ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" (ორგ.კოდი 05 02 02) გეგმა --497.8 ათასილარი, ათვისება --477.3 ათასილარი,
   - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი (ორგ.კოდი 05 02 03) გეგმა 84.5 ათასილარი, ათვისება --54.9 ათასილარი,
   - ახალგაზრდულიპროგრამებისდაფინანსება(ორგ.კოდი 05 03) გეგმა --235.4 ათასილარი, ათვისება --222.2 ათასილარი,
   - აიპსვანეთისდანიშნულებისადგილისმართვისორგანიზაციაშან - ლანდ (ორგ.კოდი 05 07) გეგმა --339 ათასილარი, ათვისება --320.5 ათასილარი
6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(ორგ.კოდი 06 00) გეგმა--1 402.1 ათასილარი,ათვისება-- 1 260.6 ათასილარი.
   - ა.ა.ი.პსაზოგადოებრივიჯანდაცვა (ორგ.კოდი 06 01 01) სუბსიდიისგეგმა --93.6 ათასილარი, ათვისება -64.9 ათასილარი,;
   - მესტიისსაავადმყოფო-ამბულატორიულიგაერთიანებისთანადაფინანსება (ორგანიზაციულიკოდი 06 01 02) :გეგმა --257.2 ათასილარი, ათვისება --257.2 ათასილარი, ;
   - მოსახლეობისსოციალურიუზრუნველყოფა(ორგ. კოდი 06 02) : გეგმა --435 ათასილარი, ათვისება --412.4ათასილარი,
   - სტიქიითდაზარალებულიოჯახებისდახმარება (ორგ.კოდი 06 03) გეგმა --110 ათასილარი, ათვისება --105 ათასილარი, გეგმაშესრულდა 96 %-ით.
   - უსახლკაროპირებისსაცხოვრებელიფართითუზრუნველყოფა (ორგანიზაციულიკოდი 06 04) გეგმა - 0 ათასილარი. ათვისება 0 ათასილარი(0%).
   - შეზღუდულიშესაძლებლობისმქონეპირებისსარეაბილიტაციოცენტრისთანადაფინანსება (ორგ.კოდი 06 05) გეგმა --56.2 ათასილარი, ათვისება -- 56.2 ათასილარი,
   - ბავშვთაუფლებებისდაცვისდამხარდაჭერისპროგრამა (ორგანიზაციულიკოდი 06 06) გეგმა - 40.9 ათასილარი. ათვისება 37.4 ათასილარი,
   - მოსახლეობისსაცხოვრებელისახლებისდამაჩუბებისგადასახურიმასალითუზრუნველყოფისპროგრამა -(ორგანიზაციულიკოდი 06 07) გეგმა - 409 ათასილარი. ათვისება 326.3 ათასილარი,

სარეზერვო ფონდში 2024 წელის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული 380 ათასი ლარიდან ათვისებულია 260 ათასი ლარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღსადგენად და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვისთვის

თავიIII.

მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები 2025 -2028 წ. საშუალოვადიან პერიოდში

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია:

- მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძოინფრასტრუქტურის მოწყობის გზით;
- გარემოს დაცვა და შენარჩუნება
- განათლების განვითარების ხელშეწყობა
- კულტურის, სპორტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის უზრუნველყოფა;
- ეფექტური მმართველობა.

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად 2025-2028 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

ორგანიზაციული კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2025 წლისგეგმა ათ. ლარი	2026 წლისპროგნოზიათ.ლარი	2027 წლისპროგნოზი ათ.ლარი	2028 წლისპროგნოზიათ. ლარი
	სულ:	23307.4	25815.0	27426.1	29148.30
01 00	ეფექტური მმართველობა.	8763.20	9277.00	9660.80	9927.00
02 00	ინფრასტრუქტურისმშენებლობა, რეაბილიტაციადაექსპლოატაცია	4057.00	5297.80	5672.00	6354.00
03 00	დასუფთავებადაგარემოსდაცვა	1937.00	2140.00	2354.00	2500.00
04 00	განათლება	2494.30	2600.00	2740.00	2890.00
05 00	კულტურა, რელიგიაახალგაზრდულიდასპორტულიღონისძიებები	3560.60	3782.90	4122.00	4400.00
06 00	ჯანმრთელობისადაცვადასოციალურიუზრუნველყოფა	2495.30	2717.30	2877.30	2997.30

მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელსშეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის და სხვა დარგების განვითარებას. ►რიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია,წყლის სისტემების,გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა,ასევე,არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა

პროგრამული.კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
02 00	მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით	4057.00	5297.80	5672.00	6354.00
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	750.00	1100.00	1100.00	1208.00
02 01 01	მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	750.00	1100.00	1100.00	1208.00
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	607.00	720.00	872.00	800.00
02 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	457.00	520.00	572.00	600.00

02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	150.00	200.00	300.00	200.00
02 03	მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	800.00	1077.80	1100.00	1246.00
02 04	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	200.00	300.00	400.00	400.00
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა				
02 06	რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხოციელებული პროექტების თანადაფინანსება	1000.00	1200.00	1400.00	1500.00
02 07	საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება	700.00	900.00	800.00	1200.00

პრიორიტეტის დასახელება: მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით 02 00

პროგრამის დასახელება: მესტიის მუნიციაპლიტეტში გზებისდა ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა

პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 02 01

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური,

პროგრამის აღწერა-საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა,რომლისთვისაც 2025 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 750 000 ლარი, გულისხმობს, მუნიციპალიტეტის ტერიტოტიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) მშენებლობა-რეაბილიტაციას, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 22-25%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს თანადაფინასებას, გზების რეაბილიტაციას, მიმდინარე შეკეთებას და მოვლა პატრონობას. სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

ა/. საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ბ/. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

გ/. ხიდების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა.
დ/. საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა და შენახვა
პროგრამის მიზანი: ქვეპროგრამის მიზანს წარმოაგენს:
ბ/. მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა,
გ/. გადაადგილების უსაფრთხოების გაზრდა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯების შემცირება.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:
1.SDG 3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
2. SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის საბოლოო შედეგი: უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობა
პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება (საშუალო %-ული მაჩვენებელი)	20%	20%	4%	ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა კლიმატური პირობები აღმოჩნდეს
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

პრიორიტეტის დასახელება: მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით 02 00
პროგრამის დასახელება: კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 02 02
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური,აიპ მესტიის გარე განათება
პროგრამის აღწერა-პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე–განათების ქსელის გაფართოება.არსებული ქსელის მოვლა–შენახვა და ექსპლოატაცია.
პროგრამით უზრუნველყოფილია წყლის სისტემის და საკანალისაციო სისტემის რეაბილიტაცია.
პროგრამის მიზანი: მოსახლეობისთვის მოწესრიგებული საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის შექმნა.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:
1.SDG 3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
2.SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი

პროგრამის საბოლოო შედეგი: მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
რეაბილიტირებული წყალსადენების სიგრძე (კმ).	1.5	1.5	3-4%	კლიმატური პირობები
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

პროგრამის დასახელება: კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია02 02

ქვეპროგრამის დასახელება , ორგანიზაციული კოდი - გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02 02 01

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური --აიპ გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის აღწერა-გარე განათების მოწყობა აუცილებელ და ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. რადგან პირველ რიგში ვართ ტურისტული ზონა და აუცილებელია ისტორიული ძეგლების(კოშკების) განათება. ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადადგილებისათვის როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ისე ტურისტული კუთხით.

ქვეპროგრამის მიზანი: გარე განათების მოწყობა და ამით მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა,

ქვეპროგრამის საბოლოო შედეგი:

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებიც ისარგებლებენ გარე განათების ქსელით	12 უბანი-დ.მესტია 8 ადმინისტრაციული ერთეული	14 უბანი დ.მესტიაში	5%	ფინანსური პრობლემა
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

პროგრამის დასახელება: კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02 02

ქვეპროგრამის დასახელება,ორგანიზაციული კოდი - გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02 02 02

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური --აიპ გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის აღწერა-პროგრამის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახალი სისტემების მშენებლობა. აღნიშნული პროგრამა ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

ქვეპროგრამის მიზანი: წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის საბოლოო შედეგი:

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენობ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
რეაბილიტირებული წყალსადენების სიგრძე (კმ).	1.5	1.5	3-4%	კლიმატური პირობები
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

პრიორიტეტის დასახელება: მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით 02 00

პროგრამის დასახელება: მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 02 03

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური,

პროგრამის აღწერა -პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამები;

• საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია • სპორტულ გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია.

• სკვერები, პარკები და სხვა დასასვენებელი ადილების მოწყობა

პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს უწყვეტი სწავლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა, პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის მიზანი: პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანესი რესურსის-ადამიანური კაპიტალის და მისი განვითარების ყველა საფეხურზე სათანადო პირობების შექმნა. პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც

ემსახურება პროგრამა: SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის საბოლოო შედეგი:

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების პროცენტული მაჩვენებელი	1	1	3-4%	შესყიდვის პროცედურები,კლიმატური პირობები
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

პრიორიტეტის დასახელება: მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით 02 00

პროგრამის დასახელება: სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია

პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 02 04

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური,

პროგრამის აღწერა- ხშირი ბუნებრივი სტიქიური პროცესების და მათი შედეგების თავიდან აცილების მიზნით სისტემატურად მიმდინარეობს საპრევენციო ღონისძიებები, მათ შორის ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

პროგრამის მიზანი: სტიქიის შედეგებისგან მოსახლეობის დაცვა,ღელეებისა და ხევების განტვირთვა-გაწმენდა ღვარცოფებისა და მეწყერის შედეგად ჩამოტანილი ნაშალისაგან. სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც

ემსახურება პროგრამა: SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის საბოლოო შედეგი: მოსახლეობის დაცვა და პრევენცია სტიქიური მოვლენებისგან

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
ახლად აშენებული სანიღვრე არხები (მეტრი)	55	55	3-4%	კლიმატური პირობები
ახლად აშენებული საყრდენი კედლები (მ3)	12	12	3-4%	
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

პრიორიტეტის დასახელება: მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით 02 00

პროგრამის დასახელება: რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება

პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 02 06

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური,

პროგრამის აღწერა-მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 5-10%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს თანადაფინასებას, სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად.

პროგრამის მიზანი: მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც

ემსახურება პროგრამა: SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის საბოლოო შედეგი: მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან (%)	5.0%	5.0%	3-4%	პროექტის მიმდინარეობის შეფერხება
სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან (%)	50-55%	50-55%	3-4%	

პრიორიტეტის დასახელება: მდგრადი ეკონომიკური დივერსიფიკაცია საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით 02 00

პროგრამის დასახელება: საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება

პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 02 07

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური,

პროგრამის აღწერა -ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და მისი შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგეს სწორი დაგეგმვა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის

შედგენა. სამუშაოთა წარმოების პროცესში კი მნიშვნელოვანია სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობაზე სრული დაკვირვება და კონტროლი.
პროგრამის მიზანი: ინფრასტრუქტურის განვითარების სწორი დაგეგმვა. შეცდომებისა და ხარვეზების თავიდან აცილება.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:
SDG 9. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა
SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის საბოლოო შედეგი: მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა
პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
ახალი ობიექტებისთვის შეძენილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა	10	10	3-4%	გეგმების ცვლილება
ობიექტებზე გაცემული საექსპერტო დასკვნების რაოდენობა.	35	35	3-4%	

გარემოს დაცვა და შენარჩუნება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა.დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა მესტიის და მის შემადგენლობაში შემავალი სოფლების სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ათასლარში

პროგრამულიკოდი	დასახელება	2025წლის პროექტი	2026წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
03 00	გარემოს დაცვა და შენარჩუნება	1937.00	2140.00	2354.00	2500.00
03 01	აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური"	1937.00	2140.00	2354.00	2500.00

პრიორიტეტის დასახელება: გარემოს დაცვა და შენარჩუნება 03 00

პროგრამის დასახელება: აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური"

პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 03 01

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური"

პროგრამის აღწერა-მესტიის მუნიციპალიტეტში დასუფთავების სერვისის მომსახურეობის უზრუნველყოფა: კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში მუნიციპალიტეტის მაშტაბით, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა. დასუფთავების აქციების ჩატარება და მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა დასუფთავებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით

პროგრამის მიზანი: მესტიის მუნიციპალიტეტის სრულად მოცვა დასუფთავების სერვისით, მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც

ემსახურება პროგრამა: SDG 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პროგრამის საბოლოო შედეგი: სუფთა მუნიციპალიტეტი

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რაოდენიბ/ხარისხობრივ	**საბაზისო მაჩვენებელი**	**მიზნობრივი მაჩვენებელი**	**ცდომილების ალბათობა(%/აღწერა)**	**შესაძლო რისკები**
ბენეფიციარების რაოდენობა, რომელებიც ისარგებლებენ დასუფთავების (ნარჩენების გატანის) მომსახურებით	10106	10581	5%	ინფრასტრუქტურის პრობლემა, სპეც.ტეხნიკის მწყობრიდან გამოსვლა, დამატებითი კონტეინერების ვერ შესყიდვა, მუშახელის სამსახურიდან წასვლა და ახლის ვერ აყვანა/დროში გაწელვა
(გენდერული,ასეთის არსებობის შემთხვევაში)				

განათლების განვითარების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა,მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას,რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს,რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება,ინვენტარით უზრუნველყოფა,რეაბილიტაცია,აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა,რადგან

უზრუნველყოფილი იყოს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიანი მომზადება სასკოლო განათლების მისაღებად.
(ათ.ლარი)

პროგრამულ იკოდი	დასახელება	2025წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
04 00	განათლების განვითარების ხელშეწყობა	2494.30	2600.00	2740.00	2890.00
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2494.30	2600.00	2740.00	2890.00

პრიორიტეტის დასახელება: განათლების განვითარების ხელშეწყობა 04 00

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი განათლების დაფინანსება
პროგრამის ორგანიზაციული კოდი - 04 01
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური --ა(ა)აიპი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
